ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4414161

ნომერი: AR1664593

თარიღი : 01.03.2019

გაცემის თარიღი : 14.03.2019

გაცნობის თარიღი : 18.03.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეველეს , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ყურაშვილი პ/ნ 01013009884
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 3, ბინა 83

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1664593 განცხადებაზე № 4405768 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

- წარმოდგენილ იქნეს შპს "ნავთლუღი მოლი"-ს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი საპროექტო ფართთან მიმართებაში (იჯარა, ქირავნოდა ა.შ), საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.
გარდა ამისა, თუ საპროექტო სამუშაოებით ეხებით რეესტრის ამონაწერში რეგისტრირებულ მოსარგებლეების სარგებლობაში არსებულ ფართებს, წარმოდგენილ იქნეს მათი სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე, ასევე შესაძლებელია განახლდეს ამონაწერი და მათი სარგებლობები აღარ ფიქსირდებოდეს, ვინაიდან ვადაგასულია (იმ შემთხვევაში თუ არ გსურთ თანხმობის წარმოდგენა).

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.